

ქართული ანიმაციური ფილმების განვითარების კვლევა

საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე

მარიამ ახალკაცი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის
მენეჯმენტი/კინომცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ახალკაცი

21.06.2018

აბსტრაქტი

კინოსამყაროსთან ადამიანის ზიარება ხშირად ანიმაციური ფილმებით იწყება, ანიმაცია ბავშვისთვის სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი გზა ხდება. ანიმაციური ფილმების შინაარსობრივი თუ ტექნიკური ასპექტების კვლევა, მნიშვნელოვანია მისი განვითარებისთვის. სამწუხაროდ, მსგავსი კვლევებით დღეს ქართული ანიმაცია განებივრებული არაა.

ამ ნაშრომის მიზანია, ქართულ ანიმაციურ ფილმებზე არსებულ ანალიტიკურ სტატიებსა და წიგნებზე დაყრდნობით, თავად ამ ანიმაციების შესწავლითა და ქართველ ანიმატორებთან თუ სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალებთან ინტერვიუების საფუძველზე, გააანალიზოს, განვითარების რა გზა განვლო ქართულმა ანიმაციურმა კინომ აღმოცენებიდან დღემდე, რა გამოწვევების წინაშე იდგა იგი და რა პრობლემებს აწყდება დღეს, რა პერსპექტივები აქვს ქართულ მულტიპლიკაციას და როგორ უნდა დაიმკვიდროს მან თავი ქართულ თუ საერთაშორისო ბაზარზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართული ანიმაციის განვითარების კუთხით ბოლო წლებში მიღწეული საგრძნობი პროგრესის მიუხედავად, ქართული ანიმაცია ძირითადი ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას. ამას გარდა, განიცდის ანიმაციური სტუდიებისა და საჭირო ტექნიკური ინვენტარის ნაკლებობას. პრობლემები არსებობს განათლების სფეროშიც, რაც შემდეგ უკვე კვალიფიციური, პროფესიონალი კადრების ნაკლებობით გამოიხატება.

მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესება ქართული ანიმაციის სფეროთი და სტრატეგიული ბიზნეს ხედვის ჩამოყალიბება მისი შემდგომი განვითარებისთვის. ამასთან, მიღწეული წარმატებებისა თუ სამომავლო პროექტების პოპულარიზაცია, საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ანიმაციური ფილმები, ქართული ანიმაციური ფილმები, ბავშვები, ანიმაციის განვითარების ფონდი, „თოფუზი“, „ნიქოზი“, ქართველი ანიმატორები.

Abstract

Human is often introduced to the world of cinema by animation, which later assists us on our journey of understanding a world around us. The study of animated film - its styles, techniques, and approaches - is important for its development. Unfortunately, Georgian animation is not used to such studies.

This thesis aims to study the development of Georgian animation since Soviet period (when it was first introduced) to modern days, to understand the challenges that it's facing today and prospect that it has for the future. The research is carried out through studying old and modern Georgian animated films, analysing articles and books on the topic and interviewing Georgian animators and directors.

The research proved, that despite many success that Georgian animation has achieved lately, it is still facing many challenges, such as financial problems, absence of animation studios and technical equipment. The study has also shown, that there are some problems in the field of education, that can cause shortage of professional animators and animation directors.

It is important to focus on public and private sector and initiate their involvement in the process of developing Georgian animation and it's strategic business vision for the future. In addition, promoting the achievements and future projects of Georgian directors can help Georgian animation establish its place in the international market.

Keywords: animated films, Georgian animated films, children, Animation Development Fund, "Tofuzi", "Nikozi", Georgian animators.